გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის

2013-2018 წლების საქმიანობის ანგარიში

2018

სარჩევი

1. კომისიის საქმიანობის არსი და მიზანი 3
2. იდენტიფიცირებული პრობლემები 3
3. გამოზამთრება 4
4. გაზიფიკაცია 8
5. ელექტროფიცირება 8
6. წყალმომარაგება 9
7. სოფლის მეურნეობა 9
8. ჯანდაცვა 17
9. ეკონომიკა 23
10. მეწარმეობა 23
11. სარეაბილიტაციო სამუშაოები 24
12. სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა 25
12.1 საზოგადოებრივი ცენტრი 25
12.2 უძრავი ქონების რეგისტრაცია 26
12.3 საფოსტო მომსახურება 27
12.4 კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები 27
13. განათლება 29
13.1 სწავლების დაფინანსება 29
13.2 სხვადასხვა ღონისძიებები 29
14. კულტურა 38
15. სპორტი 43
16. საერთაშორისო დონორები 44

1. კომისიის საქმიანობის არსი და მიზანი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია შეიქმნა მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის N257 დადგენილებით. ამავე დადგენილებით განისაზღვრა კომისიის წევრთა შემადგენლობა და კომისიის დებულება.

კომისიის ფუნქციები და ამოცანებია:

1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების შემუშავება;

2. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

3. დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამებისა და პროექტების განხილვა და განხორციელების კოორდინაცია;

4. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია;

5. გაწეული საქმიანობის ანგარიშის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა.

2. იდენტიფიცირებული პრობლემები

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე შესწავლის მიზნით კომისიის წევრები ჩასული იყვნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე 48 სოფელში და შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. შეხვედრებზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

1. ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის პრობლემა;

2. სოფლებში გაზიფიცირების არარსებობა;

3. სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემები;

4. სოფლამდე მისასვლელი გზების მოუწესრიგებლობა;

5. პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობაზე ხელმიუწვდომლობა;

6. ომის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და სახურავების პრობლემა;

7. მავთულხლართების გავლების შედეგად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობის შეუძლებლობა;

8. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პრობლემა;

9. სკოლებისა და საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა.

3. გამოზამთრება

1. კომისიის გადაწყვეტილებით 2013-2014 წელს ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (გორის, კასპის, ონის, საჩხერეს, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტები) მცხოვრები პირების გათბობით უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ 11 440 ოჯახისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 2 288 000 ლარი და თითოეულ ოჯახს გადაეცა 200 ლარი. 200 ლარიანი დახმარება საერთო ჯამში დარიგდა 50 სოფელში.

2. 2014-2015 წელს გათბობით უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 11 677 ოჯახისთვის (წინა წელთან 237 ოჯახით მეტი) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 2 335 400 ლარი. თითოეულ ოჯახს გადაეცა 200 ლარი (გორი – 6974 ოჯახი, ქარელი - 3233 ოჯახი, კასპი - 555 ოჯახი, საჩხერე- 427 ოჯახი, ხაშური –348 ოჯახი, ონი- 140 ოჯახი).

3. სსიპ - ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ გორის, კასპისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ გადასცა 9577 ლარის ღირებულების სხვადასხვა ჯიშის საშეშე მერქნული რესურსი.

4. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ 2015 წლის 7 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით (თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით დახმარების გასაცემად), 12 261 ოჯახზე გამოუყო 2 452 200 (ორი მილიონ ოთხას ორმოცდათორმეტი ათას ორასი) ლარი, მათ შორის გორის მუნიციპალიტეტს – 1 451 000 ერთი მილიონ ოთხას ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარი - 7255 ოჯახზე; ქარელის მუნიციპალიტეტს – 665 600 (ექვსას სამოცდახუთი ათას ექვსასი) ლარი - 3328 ოჯახზე; კასპის მუნიციპალიტეტს – 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი - 750 ოჯახზე; საჩხერის მუნიციპალიტეტს – 87 200 (ოთხმოც და შვიდი ათას ორასი) ლარი - 436 ოჯახზე; ხაშურის მუნიციპალიტეტს – 70 400 (სამოცდაათი ათას ოთხასი) ლარი - 352 ოჯახზე; ონის მუნიციპალიტეტს – 28 000 (ოცდარვა ათასი) ლარი - 140 ოჯახზე.

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს[1] მიერ სოციალური ჭრების ფარგლებში მოსახლეობას გადაეცა საშეშე მერქანი.

[1] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 2018 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შეუერთდა საქართველოს სოფლის მეორნეობის სამინისტროს და დღეს ფუნქციონირებს როგორც „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“.

6. 2015 წელს ადგილობრივი მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სატყეო უბნებიდან გამოყოფილ იქნა შემდეგი მერქნული რესურსი: ახალგორის მუნიციპალიტეტი - სოფელი ჩორჩანის სატყეო უბანი - 1700მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ რკონის სატყეო უბანი - 500მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ კავთისხევის სატყეო უბანი - 800მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ ახალქალაქის სატყეო უბანი - 700მ^3; ქარელის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანი - 3000მ^3; ხაშურის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანი - 2500მ^3; საჩხერის მუნიციპალიტეტი - სოფელ ჭალის სატყეო უბანი - 2244მ^3 (მათ შორის 200მ^3 I ხარისხის ხე-ტყე); მესტიის მუნიციპალიტეტი - ხუდონის სატყეო უბანი - 366 მ^3.

7. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ 2016 წლის 4 ნოემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ანაზღაურებოდათ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას 2016-2017 წლის ზამთრის პერიოდში მოხმარებული ბუნებრივი გაზის გადასახადი თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით. სულ გამოიყო 2 378 800 ლარი 11 894-ს ოჯახზე, კერძოდ: ა) იმ ოჯახებისათვის რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ გამოყო 2 233 200 (ორი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათას ორასი) ლარი; ბ) იმ ოჯახებისათვის რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, მუნიციპალიტეტებს გამოეყოთ 145 600 (ას ორმოცდახუთი ათას ექვსასი) ლარი, კერძოდ: ქარელის მუნიციპალიტეტს - 67 400 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარი; ონის მუნიციპალიტეტს - 28 400 (ოცდარვა ათას ოთხასი) ლარი; გორის მუნიციპალიტეტს - 24 800 (ოცდაოთხი ათას რვაასი) ლარი; კასპის მუნიციპალიტეტს - 16 400 (თექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტს - 8 600 (რვა ათას ექვსასი) ლარი. გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, საჩხერის და ონის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის გათბობით უზრუნველყოფის მიზნით 2016 წელს დახმარების მიმღებ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 11891 ბენეფიციარი. მათი რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: გორის მუნიციპალიტეტი - 7901 ბენეფიციარი, ხაშურის მუნიციპალიტეტი - 188 ბენეფიციარი; ქარელის მუნიციპალიტეტი - 2761 ბენეფიციარი; კასპის მუნიციპალიტეტი - 536 ბენეფიციარი; საჩხერის მუნიციპალიტეტი - 363 ბენეფიციარი; ონის მუნიციპალიტეტი - 142 ბენეფიციარი.

8. 2016 წელს ადგილობრივი მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სატყეო უბნებიდან გამოიყო შემდეგი რაიოდენობის ხე-ტყე: ახალგორის მუნიციპალიტეტი - სოფელი ჩორჩანის სატყეო უბანი - 2000მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ რკონის სატყეო უბანი - 500მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ კავთისხევის სატყეო უბანი - 1000მ^3; კასპის მუნიციპალიტეტი - სოფელ ახალქალაქის სატყეო უბანი - 800მ^3; ქარელის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანი - 1500მ^3; ხაშურის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანი - 1500მ^3; გორის მუნიციპალიტეტის სატყეო უბანი - 3000მ^3; საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელ ჭალის სატყეო უბანი - 1200მ^3; მესტიის მუნიციპალიტეტი სატყეო უბანი - 366მ^3.

9. 2016 წელს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურმა გამყოფი ხაზის სოფლებისთვის (მათ შორის პერევი, ჭურნალი, ჯრია, სპეთი) საჩხერის სატყეო უბნის ჭალის სატყეოში გამოყო 12 ტყეკაფი, საერთო მოცულობით 4161.77$მ^3$. ამასთანავე, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის მოსახლეობისთვის სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყოფილ იქნა 260$მ^3$ I ხარისხის ფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყე. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურმა გამყოფი ხაზის სოფლებისთვის (მათ შორის ატოცი, დვანი, ავნევი, ცერონისი, ყელქცეული, ბრეძა, შინდისი, საციხური, ვარიანი, ნიქოზი, ზემო ნიქოზი, აბანო, თამარაშენი, ღოღეთი, ერგნეთი, მეღვრეკისი, ბროწლეთი, ტირძნისი, ტყვიავი, დიცი, არბო, მერეთი, ფლავისმანი, თორტიზა, მარანა, თერგვისი, მეჯვრისხევი, ქიწნისი, ლამისყანა, თვაურები, სამთავისი, ბოჟამი, პანტიანი, გორაკა, ოძისი, ხვითი, სარიბარი, ვაკე) 2016 წელს ხაშურ-ქარელის, გორის და კასპის სატყეო უბნებიდან გამოიყო 8000$მ^3$ მოცულობის სოციალური ჭრის ტყეკაფები. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურმა ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების (მათ შორის ოძისი, გრემისხევი, ილტოზა, ბაქაქურები, შუახევი) ასევე-წილკანის, ფრეზეთის და წეროვნის დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისთვის 2016 წელს მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყო 2767$მ^3$ მოცულობის ხე-ტყე.

10. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ზამთრის პერიოდში გათბობის უზუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ. კერძოდ, იმ სოფლებში სადაც გაზიფიცირება დასრულებულია და ოჯახები დარეგისტრირებული არიან აბონენტებად თანხა გამოყოფილ იქნა რეგისტრირებულ აბონენტებზე, ხოლო იმ სოფლებში სადაც ჯერ არ დასრულებულა გაზიფიცირება, თანხა გამოყოფილ იქნა ოჯახებზე. 2017 წელს გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, საჩხერის, დუშეთის და ონის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის გათბობით უზრუნველყოფის მიზნით დახმარების მიმღებ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 11994. მათი რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 7904 ბენეფიციარი, ხაშურის მუნიციპალიტეტი - 194 ბენეფიციარი; ქარელის მუნიციპალიტეტი -2840 ბენეფიციარი; კასპის მუნიციპალიტეტი - 522 ბენეფიციარი; საჩხერის მუნიციპალიტეტი - 366 ბენეფიციარი; ონის მუნიციპალიტეტი - 138 ბენეფიციარი; დუშეთის მუნიციპალიტეტი - 165 ბენეფიციარი.

11. 2017 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლების: განმუხურის, შამგონას, რიყეს და ტყაიას მოსახლეობა ხე-ტყის ათვისებას ახორციელებდა კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოში, 2016-2017 წლებში გამოყოფილი 2187 $მ^3$ მოცულობის სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლების: მუჟავა-ოლორის, პალური-ლიას, ფახულანი-წყოუშის და ფოცხოეწერი-ჭალეს მოსახლეობა მერქნული რესურსის ათვისებას ახორციელებდა

წალენჯიხის სატყეო უბნის ფახულანის, მუჟავას და მაგანას სატყეოებში 2016-2017 წლებში სოციალური ჭრის წესით გამოყოფილი 1140 მ³ მოცულობის ტყეკაფებიდან. 2017 წელს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს იმერეთის სატყეო სამსახურმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისთვის: პერევი, ჭურნალი, ჯრია, სპეთი, ცხამი, ოტრია და ჯვარი საჩხერის სატყეო უბნის ჭალის, ცხამის და ოტრიის სატყეოებში გამოყო 22 ტყეკაფი, საერთო მოცულობით 5200 მ³. ამასთან, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ზემოაღნიშნული სოფლებიდან ორი საჯარო სკოლა მომარაგდა 20მ³ საშეშე მერქნული რესურსით, 2017 წელს შიდა ქართლის სატყეო სამსახურმა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისთვის (ატოცი, დვანი, ავნევი, ცერონისი, ყელქცეული, ბრეძა, შინდისი, საციხური, ვარიანი, ნიქოზი, ზემო ნიქოზი, აბანო, თამარაშენი, ღოღეთი, ერგნეთი, მეღვრეკისი, ბროწლეთი, ტირძნისი, ტყვიავი, დიცი, არბო, მერეთი, ფლავისმანი, თორტიზა, მარანა, თერგვისი, მეჯვრისხევი, ქიწნისი, ლამისყანა, თვაურები, სამთავისი, ბოჟამი, პანტიანი, გორაკა, ოძისი, ხვითი, სარიბარი, ვაკე) სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყო 6500 მ³ (მათ შორის ხაშურ-ქარელის სატყეო უბნიდან 3500 მ³, გორის სატყეო უბნიდან 2000 მ³, კასპის სატყეო უბნიდან 1000 მ³) მერქნული რესურსი.

12. კომისიის გადაწყვეტილებით, 2018 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყო 2 435 600 (ორი მილიონ ოთხას ოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარი. იმ ოჯახებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, აბონენტზე დაერიცხათ 200 (ორასი) ლარი, ხოლო იმ ოჯახებს, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, გადაეცათ 200 (ორასი) ლარი. აღნიშნული დახმარებით სულ ისარგებლა 12178 ბენეფიციარმა, მათ შორის: გორის მუნიციპალიტეტიდან - - 7909 ბენეფიციარი; ხაშურის მუნიციპალიტეტიდან - 194 ბენეფიციარი; კასპის მუნიციპალიტეტიდან - 527 ბენეფიციარი; ქარელის მუნიციპალიტეტიდან - 2875 ბენეფიციარი; საჩხერის მუნიციპალიტეტიდან - 366 ბენეფიციარი; ონის მუნიციპალიტეტიდან - 138 ბენეფიციარი; დუშეთის მუნიციპალიტეტიდან - 169 ბენეფიციარი.

13. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2019 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოყო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყო **2 608 400 ლარი (სულ 13 042 ოჯახი)**, მათ შორის: ა) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოუყო 2 419 600 (ორი მილიონ ოთხას ცხრამეტი ათას ექვსასი) ლარი; აბონენტების საერთო რაოდენობა შეადგენს 12098-ს და მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: გორის მუნიციპალიტეტი - 7908 აბონენტი; ქარელის მუნიციპალიტეტი - 2847 აბონენტი; კასპის მუნიციპალიტეტი - 529 აბონენტი; ხაშურის მუნიციპალიტეტი- 203 აბონენტი; დუშეთის მუნიციპალიტეტი - 287 აბონენტი; საჩხერის მუნიციპალიტეტი - 324 აბონენტი. ბ) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივიაირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად მუნიციპალიტეტებს გამოეყო 188 800 ლარი, კერძოდ: ონის

მუნიციპალიტეტს – 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 52 200 (ორმოცდათორმეტი ათას ორასი) ლარი; დუშეთის მუნიციპალიტეტს – 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარი; საჩხერის მუნიციპალიტეტს – 8 600 (რვა ათას ექვსასი) ლარი.

4. გაზიფიკაცია

1. საგაზიფიკაციო სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ხაშურის მუნიციპალიტეტი (3 სოფელი: ჩორჩანა, წაღვლი, ყობი - 297 აბონენტი), გორის მუნიციპალიტეტი (33 სოფელი: ქერე, ფლავი, ფლავისმანი, მეჯვრისხევი, ციცაგიაანთკარი, ერგნეთი, ახალუბანი, ქორდი, არბო, მერეთი, ზარდიაანთ კარი, გუგუტიაანთ კარი, კოშკა, კარბი, ბერშუეთი, კირბალი, აძვი, მუმლაანთკარი, ჯარიაშენი, ციცგიაანთკარი, ახრისი, ქვეში, ქვემო არცევი, ზეღდულეთი, ქვემო სობისი, ზემო სობისი, ხურვალეთი, წითელუბანი, ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, დიცი, ქვემო ხვითი, ყელქცეული - 9130 აბონენტი), ქარელის მუნიციპალიტეტი (14 სოფელი: ფცა, შაქშაქეთი, ავლევი, კნოლევი, ცერონისი, ჭვრინისი, კოდა, გულიკაანთ უბანი, ატოცი, აბანო, ღოღეთი, თამარაშენი, დვანი, ტახტისძირი - 2616 აბონენტი), კასპის მუნიციპალიტეტი (10 სოფელი: ვაკე, ახალშენი, გორაკა, ხვითი, თვაურები, ყარაფილა, სარიბარი, ზარდიაანთ კარი, საკორინთლო, პანტიანი - 629 აბონენტი), ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (2 სოფელი: ორსანტია, კოკი - 1241 აბონენტი). საერთო ჯამში გაზიფიცირებულია 62 სოფელი და 13 913 აბონენტი.

2. 2015 წლის განმავლობაში ასევე დასრულდა ცალკეულ სოფლებში აბონენტების გაზის ქსელზე მიერთების სამუშაოები.

3. 2016 წლის განმავლობაში ასევე განხორციელდა ცალკეულ სოფლებში პოტენციური აბონენტების გაზის ქსელზე მიერთების სამუშაოები და მათი აბონენტად დარეგისტრირება. გაზიფიცირების სამუშაოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მოცულობამ 19 მილიონი ლარი შეადგინა.

4. 2017-2018 წლების განმავლობაში ცალკეულ სოფლებში განხორციელდა პოტენციური აბონენტების გაზის ქსელზე მიერთების სამუშაოები და მათი აბონენტად დარეგისტრირება. დღეის მდგომარეობით აღნიშნულ სოფლებში ბუნებრივი გაზი მიეწოდება 19728 აბონენტს.

5. ელექტროფიცირება

1. გამყოფი ხაზის მიმდებარე 43 სოფელში სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ განხორციელდა ქსელის რეაბილიტაცია და ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

2. მოსახლეობის ელექტრიფიცირების მიზნით, სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ 2016 წელს განხორციელდა ელექტროგადამცემი ქსელის მშენებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხურჩა და განმუხური, სადაც გამრიცხველიანდა 416 აბონენტი.

6. წყალმომარაგება

1. 2016 წელს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოეწყო წყალმომარაგების ჭაბურღილები, საქლორატოროები და სადაწნეო კოშკურები გორის მუნიციპალიტეტის 8 სოფელსა (დიცი, ქორდი, მერეთი, ფლავი, ფლავისმანი, ფხვენისი, ზემო სობისი, წითელუბანი) და კასპის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში (ხვითი, ბოჟამი). აღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მოცულობამ შეადგინა 3 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სოფლებიდან თითქმის ყველგან, ნაწილობრივ ან/და სრულად არსებობს წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი.

2. 2016 წელს გორის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი საბიუჯეტო რესურსებით დამატებით მოეწყო ჭაბურღილები სოფელ ქვემო სობისა და სოფელ მეღვრეკისში. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა გორის მუნიციპალიტეტის ნიქოზის თემის სოფლებში, სადაც პრაქტიკულად წყლის მიწოდება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიით.

3. კომისიის გადაწყვეტილებით 2017 წელს გაგრძელდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგება. კერძოდ, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გორის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის სოფლებში (დიდი და პატარა მეჯვრისხევი, არბო, ქერე, კარბი, ფლავი, ფლავისმანი, ბერშუეთი, ახალუბანი, ერგნეთი, საციხური, აბანო, კოდა, აღაიანი, კოდისწყარო, საკორინთლო, ყარაფილა, სარიბარი, ზარდიანთკარი) დაიწყო სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა. აღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მოცულობამ შეადგინა 1 მილიონ 548 ათასი ლარი. გარდა ამისა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცსა და წითელუბანში დასრულდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოების მეორე ეტაპი (ჯამური ღირებულებით 421 ათასი ლარი). ასევე სოფელ ქვემო ხვითში მოეწყო სასმელი წყლის ქსელი, რომელიც დაერთდა ნიქოზის წყლის სისტემაზე (პროექტის ღირებულება 592 ათასი ლარი). ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით სოფელ თამარაშენში აღდგა დაზიანებული სასმელი წყლის სისტემა, ხოლო სოფელ ცერონისში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი.

4. 2018 წლის მდგომარეობით მოეწყო წყლის ჭაბურღილები, საქლორატოროები და სადაწნეო კოშკურები 33 სოფელში; კერძორ, მოეწყო 32 ჭაბურღილი, 32 საქლორატორო და 31 სადაწნევო კოშკი. წყლის გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულებულია გამყოფი ხაზის მიმდებარე 11 სოფელში. დამატებით დაგეგმილია 26 სოფელში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

7. სოფლის მეურნეობა

1. მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გორის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში ფერმერებს დაურიგდათ 13 954

აგრო ბარათი და 9 821 სახნავი ბარათი. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტების ცალკეულ სოფლებში მოიხვნა, დამუშავდა და დაითესა 6.187 ჰექტარი მიწა.

2. 2015 წელს იაპონიის სამთავრობო პროგრამის ,,GRASSROOT'' დაფინანსებით ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში შექმნილი „კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში შეიქმნა სასათბურე მეურნეობა, რომელიც მიზნად ისახავს კოლხური ბზის (ბუხსუს ცოლცჰიცა) გამრავლებასა და ბუნებაში გაშენების ხელშეწყობას. ამასთან, დაიწყო დაზიანებული ბზის კორომების შეწამვლა.

3. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს დაიხვნა 6,000 ჰა. მიწის ფართობი.

4. „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (2015-2018, 30.09.2018. მდგომარეობით) დაფინანსდა 152 ჰა. მიწის ფართობზე 38 მრავალწლიანი ინტენსიური ტიპის თანამედროვე ბაღის გაშენება.

5. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულია 26 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის შიდა ქართლის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე 13 სოფელში შეიქმნა 15 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

6. „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების“ სახელმწიფო პროგრამაში გამყოფი ხაზის მიმდებარედ, კასპის მუნიციპალიტეტიდან (სოფ. ხევი) ჩართულია 1 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც გაერთიანებულია 29 მეპაიე. პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 880 ჰა სათიბ-საძოვარი 25 წლიანი იჯარის უფლებით გადაეცა, ხოლო საქონლის საკვებწარმოებისათვის საჭირო ტექნიკა (ტრაქტორი შესაბამისი მისაბმელებით) 90% -იანი თანადაფინანსებით მიმდინარე წელს გადაეცემა.

7. 2016 წელს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განახორციელა სარწყავი სისტემების მშენებლობა- რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები:

- ხვითის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია და ელ. მომარაგების სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტში გამყოფ ხაზთან მდებარე მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გუგუთიაანთკარის, ზარდიაანთკარის და კოშკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ნიქოზთან სალთვისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის და ზემო ნიქოზის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- მეღვრეკისის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის მაგისტრალურ არხზე დაერთების კვანძების, მეღვრეკისის სათავე ნაგებობასთან სასაწყობე შენობისა და გარე განათების მოწყობა;
- არბო-დიცის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია (I და II ეტაპი).

8. გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა მაგისტრალური და გამანაწილებელი არხების ბუჩქნარისაგან და დანალექი გრუნტისგან წმენდის, მოწესრიგებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარემონტო სამუშაოები.

9. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მოიხნა, დამუშავდა და დაითესა 17 438 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში აგროდაზღვევის პროგრამით ისარგებლა 1152-მა ბენეფიციარმა.

10. 2016 წელს ქვეპროგრამის ,,ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის'' ფარგლებში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- **გალის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია

- თურქულზე - 16 672 სული მსხვილფეხა და 403 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 4 911 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 3 061 სული ძაღლი და კატა;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტზე - 4 403 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

- **საჩხერის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 7 229 სული მსხვილფეხა და 4 388 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 1 236 სული ძაღლი და კატა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 2 622 სული ცხვარი და თხა;
- ბრუცელოზზე - 50 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

- **გორის მუნიციპალიტეტში**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 9789 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 693 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 1 252 სული ძაღლი და კატა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 195 სული ცხვარი და თხა;
- ბრუცელოზზე - 137 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **ქარელის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 3509 სული მსხვილფეხა და 1 235 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 790 სული ცხვარი და თხა;
- ცოფზე - 573 სული ძაღლი და კატა;
- ბრუცელოზზე - 25 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **კასპის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 2 698 სული მსხვილფეხა და 558 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 30 სული ცხვარი და თხა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 248 სული ცხვარი და თხა;
- ცოფზე - 626 სული ძაღლი და კატა;
- ბრუცელოზზე - 36 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **ხაშურის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 605 სული მსხვილფეხა და 255 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 124 სული ცხვარი და თხა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 96 სული ცხვარი და თხა;
- ცოფზე - 18 სული ძაღლი და კატა.

➢ **დუშეთის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 1875 სული მსხვილფეხა და 124 სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 75 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 270 სული ძაღლი და კატა;

- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 3 000 სული ცხვარი და თხა;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 3 099 სული ცხვარი და თხა.

11. 2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობისათვის ახორციელებდა ყველა იმ პროგრამასა და პროექტს, რასაც ყველა სხვა დანარჩენ რეგიონებში. აღნიშნულებია: სსიპ „აწარმოე საქართელოშის“ მიერ განხორციელებული პროგრამები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში დანერგე მომავალი, აგროდაზღვევა, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროექტი, შეღავათიანი აგროკრედიტი და სხვა. აღნიშნული პროგრამები და პროექტები ითვალისწინებდა ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.

12. 2017 წელს სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აფხაზეთის მთავრობის და პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციის „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ მეშვეობით აფხაზეთის რეგიონს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისათვის უსასყიდლოდ გადასცა 2000 ცალი ფერომონი მავნებლის გავრცელება-განვითარების დაფიქსირებისა და ბრძოლის ოპტიმალურ ვადაში დაწყებისთვის, 5000 ცალი ფერომონი მავნებლის კონტროლისათვის მეთოდით „მოიზიდე და მოკალი“, 7200 ლიტრი ზონდერი და 5000 ლიტრი თეიქოფი, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, 182 ცალი სპეციალური შემასხურებელი, საინფორმაციო ბუკლეტები ღონისძიებების ეფექტიანად და უსაფრთხოდ ჩასატარებლად.

13. 2017 წელს ქვეპროგრამის ,,ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის“ ფარგლებში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა ვაქცინაციები შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 13 590 სული მსხვილფეხა და 2 წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 1086 მსხვილფეხა, 7 წვრილფეხა პირუტყვი და 6 სული ცხენი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 6521 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ბრუცელოზზე - 99 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 2583 სული ძაღლი და კატა;
- ბრუცელოზზე გამოკვლეულია 2486 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

- იდენტიფიცირებულია 3351 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **წალენჯიხის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 643 სული მსხვილფეხა და 162 წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 259 მსხვილფეხა, 70 წვრილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 2012 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 744 სული ძაღლი და კატა;
- ბრუცელოზზე გამოკვლეულია 466 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- იდენტიფიცირებულია 1002 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **გორის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 10 444 სული მსხვილფეხა და 1075 წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 597 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 485 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ბრუცელოზზე - 2578 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 1211 სული ძაღლი და კატა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 500 სული ცხვარი და თხა;
- ბრუცელოზზე გამოკვლეულია 68 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- იდენტიფიცირებულია 2823 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ყირიმ კონგოს საწინააღმდეგოდ დამუშავდა 843 სული მსხვილფეხა პირუტყვი და ცხოველთა 110 სადგომი.

➢ **ქარელის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 3375 სული მსხვილფეხა და 430 წვრილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 1519 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ბრუცელოზზე - 887 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 655 სული ძაღლი და კატა;

- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 558 ცხვარი და თხა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 100 სული ცხვარი და თხა;
- იდენტიფიცირებულია 1469 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ყირიმ კონგოს საწინააღმდეგოდ დამუშავდა 278 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 13 სადგომი.

➢ **ხაშურის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 862 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 437 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ბრუცელოზზე - 144 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 22 სული ძაღლი და კატა;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირზე - 51 სული ცხვარი და თხა;
- ცხვისა და თხის ყვავილზე - 30 სული ცხვარი და თხა;
- ბრუცელოზზე გამოკვლეულია 30 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- იდენტიფიცირებულია 185 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **კასპის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 1232 სული მსხვილფეხა და 145 წვრილფეხა პირუტყვი;
- მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარულ დერმატიტზე - 514 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ბრუცელოზზე - 381 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 290 სული ძაღლი და კატა;
- იდენტიფიცირებულია 277 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

➢ **მცხეთის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 1038 სული მსხვილფეხა და 74 წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 98 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 2 სული ცხენი;
- ბრუცელოზზე - 205 სული მსხვილფეხა პირუტყვი;

- ცოფზე - 90 სული ძაღლი და კატა;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 1527 სული ცხვარი და თხა.

➢ **დუშეთის მუნიციპალიტეტი**

ვაქცინირებულია:

- თურქულზე - 513 სული მსხვილფეხა და 295 წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე - 73 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 2 სული ცხენი;
- ბრუცელოზზე - 371 სული მსხვილფეხა პირუტყვი;
- ცოფზე - 60 სული ძაღლი და კატა;
- ცხვრისა და თხის ყვავილზე - 196 სული ცხვარი და თხა.

14. შპს „საქართველოს მელიორაციამ“ გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში 2017 წელს განახორციელა სარწყავი სისტემების მშენებლობა რეაბილიტაციის პროექტები, კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტში გამყოფ ხაზთან მიმდებარე მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გუგუთიაანთკარის, ზარდიაანთკარის და კოშკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 1 693 631 ლარი, რომლითაც მოხდა 185 ჰა სასოლო სამეურნეო მიწის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა;
- მეღვრეკისის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის მაგისტრალურ არხზე დაერთების კვანძების, მეღვრეკისის სათავე ნაგებობასთან სასაწყობე შენობისა და გარე განათების მოწყობა, ღირებულებით 66 769 ლარი;
- გორის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ნიქოზთან სალთვისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის და ზემო ნიქოზის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 285 129 ლარი;
- არბო-დიცის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია (I და II ეტაპი), ღირებულებით 314 969 ლარი, რომლითაც მოხდა 837 ჰა სასოლო სამეურნეო მიწის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა;
- 2016 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა გუგუტიაანთკარი, კოშკა, მერეთი, ზარდიაანთკარის სარწყავი წყლით მომარაგების პროექტი;

15. 2017 წელს, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებში (კარბი, მეჯვრისხევი, ახრისი, ქვემო ხვითი, ქვემო სობისი,

ფლავისმანი) გაშენდა 36,4 ჰა ბაღის ფართობები, რომლისთვისაც ჯამურად თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 288 237 ლარი.

- აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ზუგდიდის, წალენჯიხის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზღვეული იქნა 707 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 7 737 813 ლარი, ხოლო სააგენტოს მიერ გადახდილმა პრემიის წილმა 413 683 ლარი.
- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის (IFAD) ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები გლეხებისათვის (ქვეში, ფლავი, აძვი, ახრისი, ქვემო ხვითი, მერეთი, კარბი, ზემო სობისი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაზე თანადაფინანსების სახით გამოიყო 78 183 ლარი. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ცერონისსა და ავლევში სათბურის მოწყობა/გადაიარაღებისათვის დაფინანსდა ორი პროექტი და თანადაფინანსების სახით გამოიყო 27 846 ლარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფელ რუხში თანადაფინანსება (1980 ლარი) მიიღო ერთმა ბენეფიციარმა მრავალწლიანი ბაღის გაშენება/რეაბილიტაციისათვის.
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობდა „შეღავათიანი აგროკრედიტისა“ და „სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტებით.

16. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[2] საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო მუშაობს სოფლად განსახლებულ დევნილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების დაფინანსების საგრანტო პროგრამაზე სახელწოდებით „განსახლებულ დევნილთა მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 15 სასათბურე მეურნეობა, მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. თითოეული სათბური 240 კვ.მ-ია. პროგრამა ხორციელდება USAID პროექტ ზრდასთან ერთად და ჯამური ბიუჯეტი 200 000 ლარია.

8. ჯანდაცვა

1. შიდა ქართლში შეიქმნა და ფუნქციონირებს შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია შიდა ქართლის გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლების ამბულატორიული ქსელის განვითარება, სოფლის ექიმების/ექთნების გამართული მუშაობის

[2] 2018 წელს საქართველოს მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო შეუერთდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და აღნიშნული ორი უწყება ფუნქციონირებს როგორც „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“.

ხელშეწყობა, კვალიფიკაციის ამაღლება, მოსახლეობისათვის ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება. შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში“ გაერთიანებულია კასპის, გორის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში შემავალი გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლების 40 ამბულატორია, რომლებიც ემსახურებიან 83 სოფელს. დასაქმებულია 37 ექიმი და 53 ექთანი, რომლებიც ანაზღაურებას იღებენ ხელფასის სახით შპს-ს ბიუჯეტიდან (ექიმი - 650 ლარი; ექთანი - 455 ლარი). დასრულების პროცესშია ამავე განკარგულებით განსაზღვრული გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობა. ამ ეტაპზე იგეგმება კლინიკის აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით.

2. გამყოფის ხაზის მიმდებარე 20 სოფელის ამბულატორია აღიჭურვა სამედიცინო და საოფისე ინვენტარით (ინვენტარის კომპლექტის ღირებულება თითოეული ამბულატორიისათვის შეადგენს 3960,23 ლარს).

3. ახალი ამბულატორიები აშენდა/აღიჭურვა შემდეგ გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლებში:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - სოფელი განმუხური;
- საჩხერის მუნიციპალიტეტი - სოფელი პერევი;
- გორის მუნიციპალიტეტი - სოფლები ფლავი, ქვემო არცევი, აძვი, ჯარიაშენი, კირბალი, ხვითი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ქერე, ქორდი, წითელუბანი;
- კასპის მუნიციპალიტეტი - სოფლები რენე, თვაურები;
- ქარელის მუნიციპალიტეტი - სოფლები თამარაშენი, კოდა, ავლევი, ბრეძა, ატოცი.

4. ამბულატორიებში (ფცა, წაღვლი), რომლებიც ექვემდებარებოდნენ კოსმეტიკურ რემონტს, ჩატარდა შესაკეთებელი სამუშაოები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ამქორის“ მიერ მეჯვრისხევის ამბულატორიაში ჩატარდა კაპიტალური რემონტი.

5. ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში შპს „ნიქოზის ამბულეტორია“ აღიჭურვა თანამედროვე სამედიცინო (ოფთალმოლოგიური) აპარატურით. ამავე პროგრამით ამბულატორიის სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლის მიზნით განხორციელდა ვიზიტი ისრაელის კლინიკებში.

6. სამინისტრო პერმანენტულად უწევს ორგანიზებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების გასვლით აქციებს გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობის სამედიცინო კონსულტირებისათვის. აქციების დროს მაღალი კვალიფიკაციის ექიმ-სპეციალისტებით (თერაპევტი, კარდიოლოგი, ქირურგი, ენდოკრინოლოგი, ექოსკოპისტი, ოფთალმოლოგი, ოტო-რინო-ლარინგოლოგი, ნევროპათოლოგი და სხვა) დაკომპლექტებული ჯგუფების მიერ ტარდება ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები და ხდება მედიკამენტებით უზრუნველყოფა საჭიროებების მიხედვით.

7. 2015 წელს სამედიცინო კონსულტაცია, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტალური და ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 1736 მოქალაქეს, უფასოდ დაურიგდათ ესენციალური მედიკამენტები.

8. სამეგრელოს რეგიონში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების - განმუხური, ორსანტია, რიყე, შამგონა, ხურჩა, ტყალია, რუხი, ფახულანი - მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო ტესტირება C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

9. 2015 წლის 2 აპრილს გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობის მიერ რეაბილიტირებული/აღჭურვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთის ამბულატორია, რომელიც დაიწვა 2008 წლის ომის დროს (სამშენებლო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 250 700 აშშ დოლარი, სამედიცინო აღჭურვილობა - 34 425 აშშ დოლარი). რეაბილიტირებულ კარალეთის ამბულატორიის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მოხდა გამწვანების განაშენიანება, სადაც დაირგო ცაცხვის, ნაძვის, ნეკერჩხლის რამდენიმე ათეული ნერგი.

10. ცენტრალიზებული წყალმომარაგებით (მუდმივი/გრაფიკი) უზრუნველყოფილია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ამბულატორიების 15%, დანარჩენი 85% სარგებლობს ალტერნატიული საშუალებით (არტენზიული ჭა, წყლის ავზი, მეზობელი ობიექტის წყალმომარაგების სისტემა და სხვა).

11. 2015 წელს ყველა ამბულატორია მომარაგდა საკანცელარიო და სამეურნეო საგნებით, გადაეცათ გლუკომეტრები და სამუშაო პროცესისათვის აუცილებელი სამედიცინო დოკუმენტაცია, რომლის შეძენაც ადრე ხდებოდა სამედიცინო პერსონალის მიერ და დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სოფლის ექიმების მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მათი კორპორაციულ სატელეფონო ქსელში ჩართვა.

12. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ამბულატორიების შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში“ გაერთიანებამ მკვეთრად გააუმჯობესა მათ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურეობის დროული და სწორი აღრიცხვა, ინფორმაციის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დროულად მიწოდება და შესაბამისად, მათი შრომის დროულად ანაზღაურება. კონტროლზეა აყვანილი ექიმების ბინაზე ვიზიტი და მუდმივი პატრონაჟი ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებზე.

13. 2016 წელს ჩატარდა შემდეგი გასვლითი აქციები:

- შპს „ავერსის კლინიკა გორის ფილიალი“ - სოფლები: ბრეძა, ქვეში, მეჯვრისხევი, ერგნეთი, ბერშუეთი, წითელუბანი;
- შპს „გორმედი“ - სოფელბი: ხურვალეთი, მეჯვრისხევი, კარალეთი;
- შპს „ნიქოზის ამბულატორია“ - სოფლები: ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ხვითი.

14. გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სასწრაფო სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2014 ოქტომბერი - ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, ჰუმანიტარული დახმარების სახით სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ახალგორის განყოფილებას გადმოსცა სასწრაფო დახმარების მანქანა (რეანიმობილი) და სათანადო სამედიცინო დანიშნულების საგნები საერთო ღირებულებით - 75 067,79 აშშ დოლარი.
- 2015 ოქტომბერი - „ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ევროპულ სარდლობასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის შესაბამისი ქონების (ნამეტი პროდუქტი) უსასყიდლო გადაცემის შესახებ" ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ქარელის განყოფილებას გადასცა სასწრაფო დახმარების მანქანა (რეანიმობილი) და სათანადო სამედიცინო დანიშნულების საგნები საერთო ღირებულებით - 57 693,86 აშშ დოლარი.
- 2016 აპრილი - საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე სამინისტროს გადმოეცა რეანიმობილი და სამედიცინო დანიშნულების აღჭურვილობა საერთო ღირებულებით - 68, 750 აშშ დოლარი, რომელიც განკუთვნილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფის ხაზის მიმდებარე რაიონში ოპერირებისათვის.

15. სხვადასხვა დონორი და ჰუმანიტარული ორგანიზაციები (WHO, UMCOR, ACTS Georgia, PIP, UNFPA, UNHCR, UNICEF, WV, Hellenicare, CLARITAS XXI, ICRC, GRCS, MSF, Caritas – Georgia, GIP, PIN და სხვა) მონაწილეობდნენ მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების შეფასებაში, საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარებაში, სამედიცინო კონსულტაციებსა და პროფილაქტიკურ გასინჯვებში, ასევე, მედიკამენტებით, ბავშვთა კვებით და სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნველყოფაში.

16. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში დასრულდა მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა 220 საწოლზე.

17. 2017 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს

ორგანიზებით განხორციელდა მობილური ლაბორატორიული ბრიგადით ადგილობრივი მაცხოვრებლების C ჰეპატიტის სკრინინგი.

18. 2018 წელს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გეგმური იმუნიზაციით ჩატარდა აცრები. კერძოდ:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - 1560 აცრა;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - 921 აცრა;
- მესტიის მუნიციპალიტეტი - 130 აცრა.

19. 2018 წელს პარაზიტული დავაადებების ეპიდზედამხედველობის ფარგლებში პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საბავშვო ბაღების 400 აღსაზრდელს. მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით ყველა მათგანს გადაეცა მედიკამენტი მებენდაზოლი.

20. 2018 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტრანსმისიული დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის, რუხისა და შამგონის თემებში, სადაც სულ დამუშავდა 600 000 კვ.მ., ხოლო წალენჯიხის მუნიციპალიტეტიში განხორციელდა ფოცხოეწერის თემში, სადაც სულ დამუშავდა 5200 კვ.მ. ტერიტორია.

21. 2018 წლის 1 აპრილიდან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაიწყო პილოტური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს C ჰეპატიტის, აივ ინფექცია/შიდსისა და ტუბერკულიოზის დროულ გამოვლენასა და „ერთიანი ქუდის ქვეშ“ მართვას. აღნიშნული პროგრამის ფარლგებში კარდაკარ შემოვლის პრინციპით გამოკვლეულ იქნა მოსახლეობა. პროგრამაში ჩართულია:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (რუხი, ტყაია, შამგონა, კოკი, ორსანტია, განმუხური)
    - HCV სკრინინგი - 5308 პირი, HIV სკრინინგი – 4214 პირი;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (ლია, ფახულანი, ჭალე, მუჟავა, ფოცხოეწერი)
    - HCV სკრინინგი - 1330 პირი, HIV სკრინინგი – 1195 პირი;
- მესტიის მუნიციპალიტეტი (ჭუბერი, ნაკრა)
    - HCV სკრინინგი - 538 პირი, HIV სკრინინგი –445 პირი.

22. 2018 წელს პირადობის ნეიტრალური მოწმობით, ზუგდიდის C ჰეპატიტის მართვის ცენტრში, მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 4 პირი.

23. შიდა ქართლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის განყოფილება 2015 წლიდან აქტიურად არის ჩართული C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში. 2016-2018 წლებში სკრინინგი განხორციელდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, კერძოდ:

- ქარელის მუნიციპალიტეტი: კნოლევი, კოდა, დირბი, დვანი, თამარაშენი;
- კასპის მუნიციპალიტეტი: ქვემო ჭალა, ლამისყანა, კოდისწყარო, რენე;
- ხაშურის მუნიციპალიტეტი: წაღვლი;

- გორის მუნიციპალიტეტი: ერგნეთი, მეღვრეკისი, ქვემო ხვითი, ქვეში, დიცი, ნიქოზი, მერეთი, ფლავი, ფლავისმანი, ქერე.

24. 2018 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა კლინიკა „ოფთალმიჯის“ ექიმების ვიზიტი, რომლებმაც ჩაატარეს უფასო გამოკვლევები.

25. 2018 წლის 15 ნოემბერს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში ენდოკრინოლოგიის ეროვნულმა ინსტიტუტმა შაქრიან დიაბეტზე ჩაატარა უფასო გამოკვლევები.

26. 2018 წელს „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებულია „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 485 პაციენტი, რომელთა სამედიცინო საჭიროებებზე გამოყოფილმა დაფინანსება შეადგინა 620 380.51 ლარი.

27. 2018 წელს შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ კონტრაქტით აყვანილია სოფლის 40 ექიმი და 56 ექთანი, რომლებიც ემსახურებიან 85 სოფელს.

28. 2018 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს: განმუხური, ორსანტია, რიყე, შამგონა, ხურჩა, ტყაია, რუხი და ფახულანი ემსახურება 13 ექიმი (გათვალისწინებული თანხა - 101 400 ლარი) და 13 ექთანი (გათვალისწინებული თანხა - 70 980 ლარი). სოფელ პერევს ემსახურება 2 ექიმი და 2 ექთანი.

29. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში მოქმედებს სპეციალიზირებული დაწესებულება „სახლი საზღვრების გარეშე“, რომელიც რეგისტრირებულია სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებლად, 2018 წელს სერვისით ისარგებლა 47-მა ბენეფიციარმა. დახარჯულმა თანხამ შეადგინა 26 352 ლარი.

30. 2018 წელს სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა პროექტის „ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში“ (USAID) ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა (სოფლები: განმუხური, ორსანტია) და გორის მუნიციპალიტეტის (სოფლები: წითელუბანი, ბერშუეთი) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებით.

31. ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის საკითხებზე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, სახელმწიფო ფონდსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით გამყოფის ხაზის მიმდებარე სოფლებში (ქარელის მუნიციპალიტეტი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი წაღვლი, დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ოძისი) ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.

32. 2018 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებითა და სახელმწიფო ფონდის ჩართულობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითისა და სოფელი დიცის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან.

33. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს ოკუპირებული ტეროტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული პროგრამით „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამის ფარგლებში სააგენტო ყველა დევნილს, ვინც სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარა და სასწავლებელი 2 კმ-ით მაინც არის დაშორებული მისი საცხოვრებლიდან, უნაზღაურდება მგზავრობაზე გაწეული ხარჯები) ისარგებლა 500-ზე მეტმა ბენეფიციარმა, მათ შორის 40-მა სტუდენტმა, რომლებიც ცხოვრობენ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

9. ეკონომიკა

1. 2016 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში გაიხსნა რუხის სავაჭრო ცენტრი - (საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობით). მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 15 მლნ ლარს შეადგენს.

2. მიმდინარეობს მულტიფუნქციური 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა სოფელ განმუხურში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 60 მილიონ აშშ დოლარს. პროექტი ხორციელდება „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ მიერ.

10. მეწარმეობა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“ 2016 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია 160 ბენეფიციარს, რომელიც გულისხმობდა საკონსულტაციო მომსახურებების გაწევას ტრენინგ/სემინარების მეშვეობით. მათ შორის კონკრეტული დაფინანსება მიიღო 147-მა ბენეფიციარმა, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 655,649 ლარი.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტომ 2017 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, ტექნიკური მხარდაჭერა (რომელიც გულისხმობდა საკონსულტაციო მომსახურებების გაწევას ტრენინგ/სემინარების მეშვეობით) და კონკრეტული საგრანტო დაფინანსება მიიღო 58-მა ბენეფიციარმა, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 245 042 ლარი.

11. სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. 2015 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ[3] განახორციელა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში, 31 კოტეჯის იატაკების აღდგენის სამუშაოები.

2. 2016 წელს ქარელის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა ბრეძა-ატოცის დამაკავშირებელი - 7 კმ-დე მონაკვეთის გზის რეაბილიტაცია (1 მილიონ 596 ათასი ლარის ღირებულების), თამარაშენთან დამაკავშირებელი - 6 კმ-იანი მონაკვეთი (1 მილიონ 663 ათასი), ცერონისი-ავლევი - კნოლევის 12 კმ-იანი მონაკვეთი (5 მილონ 800 ათასი) და სოფელ დირბთან დამაკავშირებელი 2,7 კმ გზა (519 ათასი ლარი).

3. 2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდისწყაროში კაპიტალურად მოასფალტდა 2,4 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშველობის გზა, ღირებულებით 600 000 ლარი. ასევე სხვა სოფლების დამაკავშირებელ გზებზე ჩატარდა მოხრეშვითი სამუშაოები.

4. გორის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სოფელ ნიქოზთან დამაკავშირებელი 3 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია, მოასფალტდა ხურვალეთი-წითელუბანის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

5. მთის განვითარების ფონდის დაფინანსებით მოეწყო მერეთი-ზარდიაანთკარის 1062 მეტრიანი ასფალტირებული გზა (ღირებულება 334 000 ლარი).

6. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით სოფლებში: ხურვალეთში, წითელუბანსა და შავშვების დევნილთა დასახლებაში მოეწყო მისასვლელი ასფალტიანი გზა საერთო სიგრძით 7191 მეტრი (ღირებულება 1 855 000 ლარი).

7. კასპის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მოეწყო სოფელ კოდისწყაროდან თბილისი–სენაკი – ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ასფალტიანი გზა სიგრძით 2400 მეტრი (ღირებულება 681 000 ლარი).

8. ქარელის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მოეწყო ბრეძა ჭვრინისის ასფალტიანი გზა სიგრძით 2,7 კილომეტრი (ღირებულება 724 000 ლარი).

9. გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით სოფელ მეჯვრისხევში განხორციელდა ადგილობრივი სკვერის რეაბილიტაცია.

10. კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალშენში მოეწყო გარე განათების სისტემა.

---

[3] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო 2018 წელს შეურთდა ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დღეს იგი ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

11. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კნოლევში აღდგა დაზიანებული ხიდი და მოეწყო მინი სტადიონი.

12. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში: აბანო, კოდა, ახალსოფელი, საციხური, დვანი, ტახტიძირი მოეწყო გარე განათების სისტემები.

12. სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა

12.1 საზოგადოებრივი ცენტრი

1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მეჯვრისხევში (გორის მუნიციპალიტეტი), ტყვიავში (გორის მუნიციპალიტეტი), ბერძენაულში (ქარელის მუნიციპალიტეტი), რუხში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ორსანტიასა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) და ჯვარში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

2. საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ და შპს „მექანიზატორი“) და კერძო სექტორის („მაგთიკომი“ და „ლიბერთი ბანკი“) სერვისებით. სერვისების გარდა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ელექტრონული და მატერიალური ბიბლიოთეკა, ასევე, შეხვედრების ოთახი.

3. აღნიშნულ ცენტრებში 2017 და 2018 წლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, საინფორმაციო და კულტურული ხასიათის ღონისძიებები (მათ შორის, გენდერის და ოჯახში ძალადობის, შშმ პირთა საკითხებსა და ადამიანის უფლებების თემებზე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და სხვა). ღონისძიებათა რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა 66, ხოლო 2018 წელს 89. 2017 წელს მონაწილეობა მიიღო 3300-მა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ხოლოდ 2018 წელს - 1450-მა.

4. 2018 წლის მე-4 კვარტალში დაიგეგმა და 2019 წლიდან განხორციელდება საზოგადოებრივ ცენტრებში სააგენტოს სერვისის, კერძოდ, ელექტრონული აუქციონის (www. eAuction.ge) დანერგვის პროექტი. დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ საქართველოს მასშტაბით არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული მოძრავ/უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცედურების შესახებ. ხსენებული პროექტი ემსახურება სახელმწიფო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას.

12.2 უძრავი ქონების რეგისტრაცია

1. სხვა საკითხებთან ერთად კომისია მუშაობს გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეთა დადგენისა და ქონების რეგისტრაციის მიმართულებით.

2. ამ მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2014 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შეძენილ და დამუშავებულ იქნა ცხინვალის რეგიონის სატელიტური კოსმოსური სურათები;
- ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის გასწვრივ განისაზღვრა კონკრეტული არეალი, რომლის სიგანე სხვადასხვა ადგილის მიხედვით მერყეობს 600 მეტრიდან 900 მეტრამდე. აღნიშნულ არეალში მოექცა დაახლოებით 10 460 ერთეული მიწის ნაკვეთი;
- ტექნიკური სამუშაოების უზრუნველსაყოფად შესყიდულ იქნა შესაბამისი აღჭურვილობა.

3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მიწების შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტაცია (საკომლო წიგნის ჩანაწერები, მიწის განაწილებისა და გადასახადების გადამხდელთა სიები, მიღება-ჩაბარების აქტები) გამოთხოვილ იქნა საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოებიდან, კერძოდ, გორის, ქარელის, კასპისა და ხაშურის ტერიტორიული არქივებიდან. გამოთხოვილი დოკუმენტაცია დასკანერდა, შეიქმნა დოკუმენტაციის ელექტრონული არქივი.

4. განსაზღვრულ ტერიტორიულ არეალთან მიმართებით რეგისტრირებული მონაცემები ასახულ იქნა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. რეგისტრირებულ უფლებებთან მიმართებით დასკანერდა მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, სააღრიცხვო ბარათები და საკადასტრო რუკები. დამუშავებული მასალების რაოდენობა შეადგენს 1001 ბაინდერს და მოიცავს 6 რაიონს, 23 საკრებულოსა და 73 სოფელს.

5. უფლებრივი მდგომარეობის დადგენისა და მესაკუთრეების/მოსარგებლეების იდენტიფიცირების მიზნით შერჩეულ იქნა საპილოტე ტერიტორია – დიცის საკრებულოს კონკრეტული უბანი. საპილოტე პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი რუკები, მესაკუთრეთა/მფლობელთა სიები. საკრებულოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობით მოხდა 62 ნაკვეთის აღწერა/დაზუსტება, მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა იდენტიფიცირება.

6. შეიქმნა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თაობაზე საინფორმაციო ბაზა, რაც კომისიას დაეხმარება

დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებაში.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ქვეყნის მასშტაბით, ახორციელებს მიწის რეგისტრაციის რეფორმას. რეფორმის განხორციელების მიზნით, 2016 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. კანონით მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა როგორც ბიუროკრატიული, ისე ფინანსური პრობლემები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა. წახალისდა რეგისტრაციის პროცედურა, რაც აუმჯობესებს კერძო პირთა უფლებრივ მდგომარეობას. რეფორმა სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაციის გზით მიმდინარეობს. ამ რეფორმის ფარგლებში, გამყოფი ხაზის **მიმდებარე საკრებულოებში** (საკრებულო აერთიანებს რამდენიმე სოფელს, მათ შორის, გამყოფი ხაზის არამიმდებარე სოფლებსაც) განხორციელდა 21 000-ზე მეტი რეგისტრაცია.

8. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2015 წლიდან ახორციელებდა ინვენტარიზაციის პროექტს, რომელიც დასრულდა 2016 წლის ბოლოს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მთლიანობაში აღმოჩენილი იქნა: 803 სასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელთა ფართობმაც შეადგინა 4 784 ჰექტარი (4 784 1416 კვ.მ.) და 124 არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელთა ფართობმა შეადგინა 926 ჰექტარი (9 260 581 კვ.მ.). გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ასევე დარეგისტრირდა 1 113 ჰექტარი (1 113 8375 კვ.მ) საერთო ფართობის მქონე 299 სასოფლო კატეგორიის მიწის ნაკვეთი და 561 ჰექტარი ფართობის მქონე 198 არასასოფლო კატეგორიის მიწის ნაკვეთი.

12.3 საფოსტო მომსახურება

შპს „საქართველოს ფოსტა“ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს უზრუნველყოფს საფოსტო მომსახურებებით. აღსანიშნავია, რომ სოფელ რუხში შპს „საქართველოს ფოსტას“ მიერ 2016 წლის აპრილის თვეში განხორციელდა ბრენდირებული საფოსტო სერვის ცენტრის გახსნა და სოფელი რუხის მომსახურების არეალში შევიდა ზუგდიდის სერვის ცენტრში შემავალი სოფლების საფოსტო მომსახურება.

12.4 კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები

1. 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველი ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულათა 70 000 - ს და მასზე ნაკლებს შეადგენდა, სახელმწიფომ შეუძინა და 2015 წელს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო

მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობები (ე.წ. სეთთოფ ბოქსი), მათ შორის, გორის, კასპის, ქარელის, დუშეთის, საჩხერის, ონის, ზუგდიდის, წალენჯიხის და მესტიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრებ 34 730 ოჯახს.

2. 2014 წელს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, რამაც საშუალება მისცა მობილურ ოპერატორებს დაეწყოთ თანამედროვე LTE/4G ტექნოლოგიებით აღჭურვილი ფართოზოლოვანი მობილური ქსელების განვითარება და მომხმარებლებისთვის თანამედროვე ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდება. შესაბამისად, 2017 წლის ბოლოს LTE/4G ინტერნეტით დაფარული იყო მოსახლეობის 99,7 %, ხოლო 3G ინტერნეტით მოსახლეობის 99.9%.

3. საერთაშორისო რეკომენდაციების და ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით 2015 წელს განხორციელდა ანალოგიური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის ფართომაშტაბიანი სახელმწიფო რეფორმა, რომლის შედეგად, უპრეცენდენტო მოკლე ვადებში ამოქმედდა სახელმწიფო და კერძო ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობის ღია დაშვების ქსელები, რომელთა საშუალებითაც გავრცელებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სატელევიზიო არხებთან უფასო წვდომა აქვს ქვეყნის მოსახლეობას, მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას. 2016 წელს სახელმწიფო ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობის ქსელის ოპერატორმა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ სატელევიზიო სიგნალის გავრცელების გაუმჯობესების მიზნით ძირითად სამაუწყებლო გადამცემ ქსელს დაუმატა ციფრული სატელევიზიო გადამცემები, რომელთა ნაწილი ამოქმედდა პერევში, დარყაში, კნოლევში, ბრეძაში, იგოეთში, გლოლაში, უწერაში, წედისში, ჯვარში, კოჯორში, იდლიანში და ჭუბერში, ხოლო 2018 წელს აამოქმედა გადამცემი ლამისყანაში.

4. ამასთან, კერძო მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორმა „სტერეო+“-მა, 2016 წელს მის ძირითად სატელევიზიო გადამცემ ქსელს დაუმატა ორი სატელევიზიო სადგური, რის შედეგად ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სატელევიზიო სიგნალით ქართული პროგრამები ვრცელდება გამყოფი ხაზის მიმდებარე უმეტეს მუნიციპალიტეტსა და სოფელში.

5. მიმდინარე პერიოდში, ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით მუშავდება „საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა“, რომელიც საქართველოში, მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ციფრული უთანასწორობის დაძლევის და ციფრული ეკონომიკის განვითარების მიზნით, ორიენტირებული იქნება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისი პოლიტიკის და რეგულირების გატარების საკითხებზე, მათ შორის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ქსელების მშენებლობის გამარტივების, ინვესტიციების მოზიდვის, კონკურენციის ზრდის, მოსახლეობაში ინტერნეტის და ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ამაღლების და სხვა ღონისძიებებზე.

13. განათლება

13.1 სწავლების დაფინანსება

1. კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ დაზარალებულ სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, დაუფინანსდათ სწავლის საფასური. სტუდენტები ფინანსდებოდნენ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, რომელიც შეადგენს 2250 ლარს.

- 2013-2014 სასწავლო წელს დაფინანსდა 471 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე (ბიუჯეტი - 950 000 ლარი);
- 2014-2015 სასწავლო წელს დაფინანსდა 586 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე (ბიუჯეტი - 1 200 000 ლარი);
- 2015-2016 სასწავლო წელს დაფინანსდა 736 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე (ბიუჯეტი - 1 450 000 ლარი);
- 2016-2017 სასწავლო წელს დაფინანსდა 882 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე (ბიუჯეტი - 1 750 000 ლარი);
- 2017-2018 სასწავლო წელს დაფინანსდა 1193 სტუდენტი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე (ბიუჯეტი - 2 500 000 ლარი);
- 2018-2019 სასწავლო წელს იგეგმა 1550 სტუდენტის დაფინანსება. დაფინანსების გამოყოფილი ბიუჯეთი შეადგენს დაახლოებით 3 000 000 ლარს.

13.2 სხვადასხვა ღონისძიებები

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2013 წლიდან გამყოფი ხაზის მიმდებარე მუნიციპალიტეტების (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, ზუგდიდი) სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო სატრანსპორტო მომსახურებით. კერძოდ, 2018 წლის ჩათვლით აღნიშნული მომსახურებით ისარგებლა 37 სკოლის 2200-მდე მოსწავლემ.

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს “განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის” და „სასკოლო ინიციატივების წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში: ქვემო ნიქოზის, დიცის, ერგნეთ-მამისაანთუბნის, ზემო ხვითის (გორის მუნიციპალიტეტი) და დვანის (ქარელის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლებში განახლდა სასკოლო ბიბლიოთეკები და შეძენილი იქნა 500-მდე წიგნი (პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 4 924 ლარი).

3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ეტაპობრივად ხორციელდება ძლიერი

მოდემების დამონტაჟება, VoIP ტელეფონების ინსტალაცია და უკაბელო (Wi-Fi) ქსელის მონტაჟი.

4. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში 2015 წელს ზოგადი განთლების ხელშეწყობის პროგრამის "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (საჯარო სკოლის) ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის ქვეპროგრამის'' ფარგლებში ჩაერთვნენ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიის საჯარო სკოლა და სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლა.

5. სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიზანია ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე სკოლის მოსწავლეების ფსიქო-სოციალური დახმარება. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ (ფსიქოლოგები, ბავშვთა ფსიქიატრები და სოციალური მუშაკები) ფსიქო-სოციალური მომსახურებას უწევენ მოსწავლეებს, მათ მშობლებს, საჭიროების შემთხვევაში ასევე მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. მომართვის საფუძველზე ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ემსახურება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებს. მოცემული დროისათვის სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს 7 ქალაქში: თბილისში, რუსთავში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და ფოთში. ფსიქო-სოციალური მომსახურების მიღება შეუძლია ნებისმიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეს.

6. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა პროგრამები - ,,მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა" , ,,ჩემი პირველი კომპიუტერი" და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლებს გადაეცათ სასკოლო ჟურნალები, პირველკლასელებს და მათ დამრიგებლებს გადაეცათ პორტაბელური კომპიუტერები, ხოლო მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები.

7. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში 2015-2016 სასწავლო წელს ჩართულნი იყვნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე შემდეგი სოფლების საჯარო სკოლები: საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის საჯარო სკოლა; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის და სოფელ დვანის საჯარო სკოლები; გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიის N1 და ფახულანის N1 საჯარო სკოლები; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის, რიყის, ორსანტიის, კოკის, რუხის, შამგონას, ანაკლიის საჯარო სკოლები. პროგრამის ბენეფიციარები არიან მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეები. აღნიშნული პროგრამის მიზანია მოსწავლეებს

მიეწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიების შესახებ, დაეხმაროს მათ პროფესიის არჩევისას გაცნობიერებულ გადაწყვეტილების მიღებაში.

8. 2016 წელს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (საჯარო სკოლის) ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის ქვეპროგრამის'' ფარგლებში ჩაერთვნენ სსიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა და სსიპ-აკადემიკოს ვიქტორ გუჩუას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის თემის N1 საჯარო სკოლა.

9. 2016 წელს საჯარო სკოლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, კერძოდ, კარალეთში, ზერტში, ტყვიავში, მეჯვრისხევში, ხელთუბანში, ფლავისმანსა და ატენში.

10. პროგრამა "ჩემი პირველი კომპიუტერის" ფარგლებში 2016-2018 წლებში დარიგდა პირველკლასელთა მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პორტაბელური კომპიუტერები (ბუკი), კერძოდ:

2016 წელი:

- გორის მუნიციპალიტეტი:
  - კარალეთის N1 საჯარო სკოლა - 33 მოსწავლე;
  - კარალეთის N2 საჯარო სკოლა - 30 მოსწავლე;
  - ზერტის საჯარო სკოლა - 32 მოსწავლე;
  - ტყვიავის საჯარო სკოლა - 31 მოსწავლე;
  - მეჯვრისხევის საჯარო სკოლა - 30 მოსწავლე;
  - ხელთუბნის საჯარო სკოლა - 40 მოსწავლე;
  - ფლავის საჯარო სკოლა - 33 მოსწავლე;
  - ატენის საჯარო სკოლა - 21 მოსწავლე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:
  - სოფელ რუხის საჯარო სკოლა - 43 მოსწავლე.

2017 წელი:

- გორის მუნიციპალიტეტი:
  - კარალეთის N1 საჯარო სკოლა - 11 მოსწავლე;
  - კარალეთის N2 საჯარო სკოლა - 1 მოსწავლე;
  - მეჯვრისხევის საჯარო სკოლა - 3 მოსწავლე;

- ხელთუბნის საჯარო სკოლა - 5 მოსწავლე;
- ფლავის საჯარო სკოლა - 3 მოსწავლე;
- ატენის საჯარო სკოლა - 1 მოსწავლე.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

- სოფელ რუხის საჯარო სკოლა - 2 წარჩინებული მოსწავლე.

2018 წელი :

➢ გორის მუნიციპალიტეტი:

- კარალეთის N1 საჯარო სკოლა - 33 მოსწავლე;
- კარალეთის N2 საჯარო სკოლა - 22 მოსწავლე;
- ზერტის საჯარო სკოლა - 25 მოსწავლე;
- ტყვიავის საჯარო სკოლა - 34 მოსწავლე;
- მეჯვრისხევის საჯარო სკოლა - 43 მოსწავლე;
- ხელთუბნის საჯარო სკოლა - 35 მოსწავლე;
- ფლავის საჯარო სკოლა - 23 მოსწავლე;
- ატენის საჯარო სკოლა - 23 მოსწავლე.

➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:

- სოფელ რუხის საჯარო სკოლა - 47 მოსწავლე.

11. ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ, დაბა ჯვარსა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) და ქალაქ გორში ფუნქციონირებს პროფესიული კოლეჯები, სადაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

12. დაწყებულია სამუშაოები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობის მიზნით, რაც გაზრდის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას.

13. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს "ზოგადი განათლების ხელშეწყობის" პროგრამის "სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების" ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს დაფინანსდა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყის საჯარო სკოლა.

14. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დავალებით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მომზადდა აფხაზური ენის სწავლების მოდული სატრენინგო მასალასთან ერთად. აღნიშნული

მოდული გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, მიზნობრივი სარგებლობის უფლებით, ტრენერების შერჩევის, ტრენინგების ჯეროვანი ორგანიზებისა და წარმართვის პირობით. გარდა ამისა, აღსანიშნავია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აქტიური თანამშრომლობა იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციასთან „თანხმობა“. 2016 წელს მომზადდა სამოდელო გაკვეთილები სხვადასხვა საგანში (სულ 16 საგნის 75 ერთეული) სასკოლო სწავლების მასწავლებლებისთვის. გაკვეთილები ჩაიწერა დისკებზე და გამრავლებისა და გავრცელების მიზნით გადაეცა აღნიშნული ასოციაციის ფარგლებში განხორციელებულ პროექტს - „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავება“. აღნიშნული გაკვეთილები განკუთვნილია იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც ასწავლიან შიდა ქართლში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განლაგებულ სკოლებსა და სამეგრელოს საოკუპაციო ზოლის ორივე მხარეს მდებარე სკოლებში. 2016 წელს სოფელ ერგნეთის საშუალო სკოლას უსასყიდლოდ გადაეცა შემდეგი დასახელების წიგნები და DVD ფილმები:

- წიგნი „კითხვის ეფექტური მეთოდები“ - 2 ცალი;
- წიგნი „ეფექტური სწავლება სკოლაში“ - 2 ცალი;
- ფილმი, 4 დისკიანი „კითხვის ეფექტური მეთოდები“ - 2 ცალი;
- ფილმი, 4 დისკიანი „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ - 2 ცალი;
- სქემის გზამკვლევი (I და II ნაწილი) - 2 ცალი.

15. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლებში განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყის საჯარო სკოლა - სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიის საჯარო სკოლა - შიდა რეაბილიტაცია და სამედიცინო კაბინეტის მოწყობა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის საჯარო სკოლა - შენობის და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის საჯარო სკოლა - გათბობის სისტემის რეაბილიტაცია;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის საჯარო სკოლა - სპორტული მოედნისა და დარბაზის რეაბილიტაცია;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლა - სამედიცინო ოთახის მოწყობა;

- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა (ქვემო არცევის კორპუსი) - სრული რეაბილიტაცია;
- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა - სრული რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, გადაიარაღება/გადაგეგმარება;
- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბის საჯარო სკოლა - სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და სამედიცინო ოთახის მოწყობა;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის საჯარო სკოლა - გათბობის სისტემის და სამედიცინო ოთახის მოწყობა;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა - კარ-ფანჯრის და შენობის შიდა რეაბილიტაცია;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის N2 საჯარო სკოლა - კარ-ფანჯრის რეაბილიტაცია;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა - სამედიცინო ოთახის მოწყობა;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა - სამედიცინო ოთახის მოწყობა;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა - MCC-ამერიკული პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოს საჯარო სკოლა - ახალი 90 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა - ამერიკელების მიერ მიმდინარეობს სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაიას საჯარო სკოლა - გათბობის რეაბილიტაცია.

16. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სკოლების საგრანტო დაფინანსების ფარგლებში ახორციელებს პროგრამას „თავისუფალი გაკვეთილები“, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის ზრდას, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გაფართოებას, საინტერესო და სახალისო სასკოლო ცხოვრებას. 2017 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე 28 სკოლის 70 პროექტი.

17. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მდებარე 7 სკოლის და გორის მუნიციპალიტეტში 18 სკოლის დირექტორი ჩართულია *სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამაში* „ლიდერობის აკადემია 1“, „ლიდერობის აკადემია 2“ და „ლიდერობის აკადემია 3“. აღნიშნული სკოლების ბიოლოგიის, გეოგრაფიის,

ინგლისურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები (ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან - 20 მასწავლებელი, ხოლო გორის მუნიციპალიტეტიდან - 67 მასწავლებელი) ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში.

18. გამყოფ ხაზთან მდებარე ყველა საჯარო სკოლას შესაძლებლობა აქვს ჩაერთოს ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე შემდეგ პროგრამებში:

- „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა“;
- „ჩემი პირველი კომპიუტერი“ (პორტაბელური კომპიუტერები გადაეცემა საბაზო საფეხურის წარჩინებულ მოსწავლეებს, ამავე პროგრამის ფარგლებში პორტაბელური კომპიუტერები გადაეცემათ პირველკლასელებს და მათ დამრიგებლებს);
- ცენტრალიზირებული უნიფიცირებული სასკოლო ჟურნალებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა სკოლების მოთხოვნის შესაბამისად (მერხი, დაფა, კომპიუტერი და ა.შ);
- „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამა“;
- „საერთაშორისო ოლიმპიადების ქვეპროგრამა“;
- „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა“;
- „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამა“;
- „ეროვნული ინტელექტჩემპიონატი“;
- „ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“;
- „“სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამა“.

19. 2017 წლის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ რეგიონის მცირე სკოლების მოსწავლეთათვის, რომელთა შორის არიან გამყოფი ხაზის მიმადებარე სოფლების მოსწავლეებიც, განახორციელა მასშტაბური პროგრამა *„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“.* პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული იქნა სხვადასხვა მიმართულების ბანაკები: ბაკურიანის „სამთო სათხილამურო სპორტული სკოლა“, წყნეთის ბანაკი „ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა“, „კაჭრეთის საზაფხულო ბანაკი“, „სალიბაურის ეკობანაკი 2017“, ბათუმის „მუსიკალური საზაფხულო ბანაკი“, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედო ბაზაზე ორგანიზებული იქნა „მანავის საზაფხულო ბანაკი“, სადაც ერთი დღე სამხედრო თემას დაეთმო, სამხედროები მოზარდებს ექსტრემალურ სიტუაციაში თვითგადარჩენის უნარებსაც აცნობდნენ. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორიაზე ორგანიზებული იქნა „რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი“, რომლის მიზანსაც მეცნიერების, ტექნოლოგიის,

ინჟინერიის, მათემატიკის, რობოტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

20. 2017-2018 სასწავლო წელს „ასწავლე საქართველოსთვის“ ქვეპროგრამაში 12 კონსულტანტ-მასწავლებლი მივლენილია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში:

- ქარელის რაიონის სოფელი ატოცი (ქართული ენის და ქიმიის მასწავლებელი);
- დუშეთის რაიონის სოფელი არღუნი (ბიოლოგიის მასწავლებელი);
- კასპის რაიონის სოფელი კოდისწყარო (ინგლისურის მასწავლებელი);
- მესტიის რაიონის სოფლები უშგული, ნაკრა, ჭუბერი, მულახი და ხაიში (2 მათემატიკის, ქართულის, ინგლისურის და მუსიკის მასწავლებლები);
- ონის რაიონის სოფელი ღები (გეოგრაფიის, სპორტის და ინგლისურის მასწავლებლები).

კონსულტანტ-მასწავლებლები ეხმარებიან ადგილობრივ პედაგოგებს, ატარებენ დამატებით გაკვეთილებს და ჩართული არიან არაფორმალური განათლების ხელშეწყობის სხვადასხვა პროექტებში.

21. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2016, 2017 და 2018 წლებში დამტკიცებული „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი *„გალის რაიონის პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების ქვეპროგრამის“* ფარგლებში, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, გალის რაიონის პედაგოგებს უტარებოდათ ტრენინგები სხვადასხვა საგნებში და ხდებოდა მათი გადამზადება. გადამზადებული პედაგოგები თავის მხრივ დამატებით მეცადინეობებს უტარებდნენ გალის რაიონის მოსწავლეებს და ამზადებდნენ აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

22. სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი 2017 წელს ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებს:

- **ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი:** პროექტის ფარგლებში მოხდა ხელოვნური საცოცი კედლის სავარჯიშო გარემოს კეთილმოწყობა, კერძოდ, მოეწყო დამატებითი საცოცი, რთული მონაკვეთები, დაიხვეწა და გაძლიერდება უსაფრთხოების ზომები, მოეწყო მეტეოროლოგიური მოვლენებისაგან (წვიმა, თოვლი, ქარი) დამცავი საფარი.
- **“სოციალური საწარმო „მეგო-ბარი":** პროექტის მიზანი იყო ზუგდიდში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი, დევნილი,

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საერთო სამუშაო სივრცის შექმნა, რომელსაც ექნებოდა სოციალური საწარმოს სახე. სოციალური საწარმო „მეგო-ბარი“ პირველი არაკომერციული, უფასო საერთო სამუშაო სივრცე (co working space) და კაფე-ბარია ზუგდიდში. დევნილ და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ ბარში გაიარონ ბარმენის, კონდიტერის, მუსიკალური წამყვანის პრაქტიკული და თეორიული კურსები, რაც შემდგომში მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. კაფე-ბარი ახალგაზრდებს სთავაზობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, როგორიცაა მუსიკალურ საღამოები, კინოჩვენებები, სპორტული თამაშების ტრანსლაციები და სხვა.

23. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს[4] პროექტის ,,წიგნი ყველა სოფელს ‘’ ფარგლებში, 2017 წელს სოფელ ნიქოზსა და ერგნეთში, ადგილობრივ ბიბლიოთეკებს გადაეცათ წიგნები.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 მარტის ბრძანებით №205 დამტკიცებული სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს „ინფრასტრუქტურის განვითარების 2017 წლის სამოქმედო გეგმით“ განხორციელდა გამყოფი ხაზების სიახლოვეს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. კერძოდ:

- ერედვის მუნიციპალიტეტის ერგნეთ- მამისაანთუბნის საჯარო სკოლა - სკოლა დაფინანსდა სანიტარული კვანძების მოწყობისთვის;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის საჯარო სკოლა- სკოლა დაფინანსდა იატაკების და კარებების რეაბილიტაციისთვის;
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის - ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

24. 2018 წელს „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 17 სკოლას დაუფინანსდა 20 პროექტი (ჯამში 12 000 ლარის ღირებულების), რომლებიც ორიენტირებულია არაფორმალური განათლების განვითრებაზე;

25. „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ პროგრამის ფარგლებში 2018 წელს საზაფხულო სკოლებში („ეკოსკოლა“, „ხელოვნების სკოლა“, „შრომითი უნარების განვითარების სკოლა“) ჩაერთო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 15 სკოლის 20 მოსწავლე;

26. 2018 წელს ანაკლიის „მომავლის ბანაკში“ მონაწილეობა მიიღეს როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსწავლეებმა, ისე 50 მოსწავლემ ოკუპირებული გალის რაიონიდან.

---

[4] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2018 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად შეურთდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნული უწყებებში ამჟამად ფუნქციონირებს როგორც „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“.

27. “ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში მონაწილეობა მიიღო 824 მოსწავლემ. ოლიმპიადა მოიცავდა სამი სახის შეჯიბრს: სპორტული თამაშები, მოძრავი თამაშები „მხიარული სტარტები“, სპორტულ-შემეცნებითი თამაშები.

14. კულტურა

1. მომზადებულ იქნა კულტურის ათწლიანი სტრატეგია „კულტურა 2025“, რომლის ერთ-ერთი მიზანია, გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობის ინტეგრაცია ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2014 წლიდან გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ნიქოზში ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს“. ამ მიმართულებით, ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში არაერთი გაკვეთილი ჩატარდა, პროგრამა პერიოდულად ხორციელდება და დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტი ბავშვი ერთვება.

3. პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში, 2015 წლის 27 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის მოსახლეობა შეხვდა მწერლებს - ანა კორძაია-სამადაშვილს, ზურაბ ქარუმიძეს, სალომე ბენიძეს, ასევე მოეწყო ლევან თუთბერიძის ფილმის „მოირა“ ჩვენება, ხოლო 2015 წლის 26 დეკემბერს, დიცის სკოლის შენობაში გაიმართა თბილისის კონსერვატორიის რექტორის რეზო კიკნაძის ჯაზ-ბენდის კონცერტი, ასევე, მოეწყო სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამის „ერთიანი საქართველო“ პრეზენტაცია. სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნები.

4. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2015 წელს ქალაქ გორში განხორციელდა დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობისა და მის ბაზაზე კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის პროექტირება.

5. 2015 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი „ცოცხალი წიგნების“, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ლიტერატურული პროცესების გაცნობის მიზნით, ქართველი მწერლები და პოეტები სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებს.

6. საქართელოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ყოველწლიურად იმართება „ნიქოზის საერთშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი“. აღნიშნულ ფესტივალს ორგანიზებას უწევს და მასპინძლობს წმინდა

ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა სოფელ ნიქოზში. პროექტი მიზნად ისახავს ქართული ანიმაციის პოპულარიზაციას. ფესტივალის ფარგლებში ეწყობა შემოქმედებითი შეხვედრები ამ სფეროს გამორჩეულ წარმომადგენლებთან. სტუმრად ჩამოსული ქართველი და უცხოელი ანიმატორები მონაწილეობას იღებენ ვორქშოფებსა და მასტერკლასებში, სადაც ქართველ ანიმატორებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ანიმაციის სფეროში არსებულ სიახლეებს, რაც მათი პროფესიული დონის ამაღლებას უწყობს ხელს.

7. კონფლიქტით დაზარალებული და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ პროცესებში ჩართულობის მიზნით, 2016 წელს (სოფლები დიცი, ტირძნისი, ნიქოზი, რუხი, განმუხური) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, ა(ა)იპ „მომავლის სოფლის მიერ“ განხორციელდა პროექტები „შემოსაზღვრე საქართველო“ და ,,რუხი - კულტურის ცენტრი", რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრა ქართველ მწერლებთან და ხელოვანებთან, სადაც მათ ისაუბრეს კულტურული დიალოგის გაღრმავების მნიშვნელობაზე, ხოლო რუსთაველის (850) და ვაჟა-ფშაველას (155) საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, ადგილობრივ პედოგოგებს, სტუდენტებს, უფროსკლასელებს სალექციო კურსი შესთავაზეს.

8. პროექტის „შემოსაზღვრე საქართველო“ ფარგლებში, ქ. ზუგდიდის კულტურის ცენტრში „ოდიში“ ჩრდილების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა "აფხაზეთი-ბუდრუგანა გაგრამ“ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, აფხაზეთიდან დევნილებისა და გამყოფის ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის გამართა სპეკტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“. აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის გამოფენები ადგილობრივი ახალგაზრდა ხელოვანების მონაწილეობით, ბოლო დროის საუკეთესო მოკლე და სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება. გაიმართა მუსიკალური კონცერტები ადგილობრივი ფოლკლორული და თანამედროვე მუსიკალური კოლექტივების ჩართულობით. პროექტის ,,რუხი - კულტურის ცენტრი" ფარგლებში, რუხის ციხეში გაიმართა მუსიკალური კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლის „ოდოია“, კომპოზიტორ მიხეილ მდინარაძის და ბენდის „ბარაკას“ მონაწილეობით. ადგილობრივ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადაეცათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნები. აღნიშნულ ღონისძიებებს დახლოებით 3000 - მდე ადამიანი დაესწრო.

9. 2016 წელს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა სსიპ ცხინვალის ივ. მაჩაბლის სახელობის პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა საგასტროლო ტურნე გამართა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში; უშუალოდ საოკუპაციო ხაზთან თეატრს ჩატარებული აქვს ოთხი საქველმოქმედო წარმოდგენა სოფელ დვანში, ნიქოზში, დიცში და ერგნეთში, თითოეულ სპექტაკლს დაესწრო 400-500 მაყურებელი. სსიპ შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის პროფესიული დრამატული თეატრი 2016 წელს მასპინძლობდა სოფლების რუხი, ორსანტია, კოკის მოსახლეობას.

10. 2016-2017 წლებში საერთაშორისო საზოგადოებამ „კავკასიური მოზაიკა“ განახორციელა პროექტი „ქართველთა და ოსთა მეგობრობა“, რომელიც მიზნად ისახავდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში (ერედვი და ნიქოზი) მღავალფეროვანი კულტურული ღონისძიების გამართვას, კერძოდ, მოეწყო ქართულ-ოსური ურთიერთობების ამსახველი ფოტოებისა და ქართველი და ოსი მხატვრების ნამუშევრების, ოსურ და ქართულ ენებზე განხორციელებული თარგმანების გამოფენა. გაიმართა კონცერტი ქართველი და ოსი მუსიკოსებისა და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით, ნაციონალური კერძების დეგუსტაცია. პროექტის ფარგლებში დასაქმდა 30 ადამიანი.

11. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონში მდებარეობიდან გამომდინარე, მუზეუმში განხორციელებულ საგამოფენო თუ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას რეგულარულად იღებენ ზუგდიდში მცხოვრები დევნილი მოსწავლეები. შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, არაერთხელ მოხდა გამყოფ ხაზის არსებული სკოლების მოსწავლეთა მიღება მუზეუმში. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, მუზეუმში ყოველწლიურად ეწყობა ღონისძიება ,,ხსოვნისა და იმედის დღე''. 2017 წელს მოეწყო პროკუდინ გორსკის პირველი ფერადი ფოტოსურათების გამოფენა - „მე-20 საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის ხედები“.

12. 2017 წელს კონფლიქტით დაზარალებული და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ პროცესებში ჩართულობის, ახალგაზრდებში სახელოვნებო განათლების დონის ამაღლებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ა(ა)იპ. „მომავლის სოფლის“ მიერ განხორციელდა პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა რიგი ღონისძიებები გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში (რუხი, ორსანტია, ანაკლია, მეჯვრისხევი და ნიქოზი). პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ქართველ მწერლებთან და ხელოვანებთან სადაც მათ ყურადღება გაამახვილეს ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ლ. ასათიანის, ტ. გრანელის საიუბილეო თარიღებზე. ქ. ზუგდიდში, მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრში, სსიპ ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის, აფხაზეთიდან დევნილებისათვის და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ახალგარზდებისათვის გამართა სპეკტაკლი „უჩინმაჩინის ქუდი“. მოეწყო გამოფენები, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, გაიმართა მუსიკალური კონცერტები ადგილობრივი ფოლკლორული ანსაბლების, ინსტრუმენტული ჯგუფების და დედაქალაქიდან ჩასული თანამედროვე მუსიკოს - შემსრულებლების მონაწილეობით. სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით განახლდა აღნიშნული რეგიონების სკოლების, მუნიციპალური და ქალაქის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი.

13. 2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობითა და ა(ა)იპ „1 ეკვილიბრიუმის“ ორგანიზებით განხორციელდა პროექტი(ბიუჯეტი 27 000 ლარი), რომლის ფარგლებშიც შიდა ქართლისა და სამეგრელო-

ზემო სვანეთის რეგიონებში - სოფ.მეჯვრისხევი/ქ.გორი - 10 მაისი; ქ. ზუგდიდი/სოფ. ტყაია /სოფ. რუხი- 21-22 ივნისი; სოფ.ორსანტია/ანაკლია - 6-7 სექტემბერი; სოფ. მერეთი/ქ.გორი - 28 სექტემბერი, გაიმართა შემდეგი ღონისძიებები (ღონისძიებებს დაესწრო 4500 - მდე ადამიანი):

- ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრა ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან (მონაწილეები: სსიპ თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ირმა რატიანი, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფ. მაკა ელბაქიძე და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი გიორგი კეკელიძე, მწერალი/ ლიტერატურათმცოდნე - ზაალ ჩხეიძე; მწერალი/ ლიტერატურათმცოდნე/კრიტიკოსი - გაგა ლომიძე, სსიპ თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი - ნანა ლატარია და სსიპ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი - ესმა მანია; სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი - ემზარ ჯგერენაია);
- სოფლებში მეჯვრისხევი, მერეთი, ტყაია და ორსანტია, დაბა ანაკლია მოეწყო 5 სხვადასხვა სახის გამოფენა ადგილობრივი ახლაგარზდა ხელოვანების მონაწილეობით;
- აღნიშნულ რეგიონებში მოეწყო ბოლო დროის ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმების - „დაკარგული სოფელი“ (რეჟ. გიორგი თოდრია“ „აპრილის სუსხი“ (რეჟ. თორნიკე ბზიავა), „წითელი ვაშლი“ (რეჟ. გიორგი სიხარულიძე) „ფრანი“ (რეჟ. ვლადიმერ სულაქველიძე), „მამა“ (რეჟ. დავით ფირცხალავა), „ანდრო“ (რეჟ. თორნიკე გოგრიჭიანი), “Cofee Break” (რეჟ. გიორგი თავართქილაძე) ჩვენება - ჯამში 9 ჩვენება;
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებისათვის ქ. გორში, სოფელ რუხსა და სოფელ ანაკლიაში გაიმართა კონცერტები, როგორც ადგილობრივი მუსიკალური კოლექტივის „Under 7“ (რუხი), ისე დედაქალაქიდან ჩასული ჯგუფის „ქიმერა“ – (გორი), სანდრო ნიკოლაძის ბენდის „Space Board” (ანაკლია/გორი), ნეკა სებისკვერაძის ბენდის (რუხი) და ახალქალაქელი მუსიკოსის ტიგრან მღდესიანის (ანაკლია/გორი) მონაწილეობით - ჯამში - 4 კონცერტი;
- ქ. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, სსიპ ივ. მაჩაბლის სახ. ცხინვალის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, აფხაზეთიდან დევნილებისათვის და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის გამართა სპექტაკლი „კვაჭი“;
- აღნიშნული სოფლების საჯარო სკოლების, ასევე ქ.ზუგდიდის და ქ.გორის მუნიციპალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი განახლდა სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული წიგნებით და ალბომებით;

- 2017-2018 წლებში დაბა ანაკლიაში სოფლებში ნიქოზი, დიცი (2017) ტყაია, მეჯვრისხევი, ორსანტია, მერეთი (2018), ქართველი გამომცემლების ჩართულობით, დაარსდა „სკვერის ბიბლიოთეკები“ - სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ იკითხონ წიგნი, განახორციელონ საგანმანათლებლო აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს წიგნის პოპულარიზაციასა და განათლების დონის ამაღლებას.

14. 2014-2018 წლებში ა(ა)იპ „საქველმოწმედო ფონდის ხელოვანები თანადგომისათვის“ ორგანიზაბითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განახორციელდა პროექტი - „დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა“ (წლიური ბიუჯეტი 208 000 ლარი). პროექტის ფარგლებში, დევნილთა კომპაქტურ 12 დასახლებაში (გორი, წეროვანი, მეტეხი, შაუმიანი, კოდა, თელიანი, შავშვები, სკრა, კარალეთი, ხაშური, მოხისი, ახალსოფელი) ფუნქციონირებს 12 სკოლა, რომელშიც ისწავლება შემდეგი მიმართულებები: თექა, ხატვა, ქსოვა, კერვა, მინანქარი, ხალხური საკრავები და სიმღერა, ფორტეპიანო და საესტრადო სიმღერა. სკოლებში დასაქმებულია 69 დევნილი პედაგოგი, ხოლო ზემოაღნიშნული სერვისებით ყოველწლიურად სარგებლობს 700-მდე დევნილი მოსწავლე.

15. სტალინის სახელმწიფო მუზეუმმა 2016-2018 წლებში გამყოფი ხაზიდან 500 მეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ნიქოზში, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიასთან არსებულ წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელობის ხელოვნების სკოლაში კულტურულ-სგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში არაერთხელ მოაწყო გამოფენა სხვადასხვა თემატიკაზე. სისტემატური ხასიათი აქვს გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის სტუმრობას მუზეუმში და სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროექტებში მათ ჩართულობას.

16. 2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ერთობლივი საგანმანათლებლო, კულტურული და საქველმოქმედო ღონისძიებების ფორმატში თანამშრომლობა. მემორანდუმის ფარგლებში,სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა პირველი ერთობლივი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული 40-მდე მოსწავლე და აგრეთვე, სენაკის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების ცენტრის“ სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები. ამავე ღონისძიების ფარგლებში ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულმა მოზარდებმა დაათვალიერეს პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროგრამაში „საბავშვო არქეოლოგია“ მათ ასევე, მოინახულეს მარტვილის მონასტერი.

17. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე:

- ყოველწლიურად, ნოქალაქევში ხორციელდება შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამა „საბავშვო არქეოლოგია“, რომელიც იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს ემსახურება უსასყიდლოდ;
- გრძელდება ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები:
    - შპს „ენგურის ტურისტული ცენტრის“ მიერ 2018 წლის ოქტომბერში დასრულდა სრული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება; აღნიშნული ეტაპის ღირებულება შეადგენს 1 998 810 ლარს;
    - მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება ფიზიკური სამუშაოების დასაწყებად სანებართვო პროცედურების მოსამზადებელი სამუშაოები (პროექტის განხორციელებადობის ექსპერტიზა და ა.შ.);
    - ფიზიკური სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2019-2021 წლებში.

18. მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტში, გამყოფი ხაზის გასწვრივ სოფელ ოძისში მდებარე დავით და გიორგი ერისთავების საგვარეულო სასახლის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია. 2017-2018 წელს განხორცილდა რებილიტაციის პირველი ეტაპი და და დაიწყო მეორე ეტაპის სამუშაოები.

19. 2018 წელს მომზადდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ფცაში არსებული კოშკის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

20. 2018 წლის ბოლომდე დასრულდება კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა საკორინთლოში არსებული ზედა სასაფლაოს საყდრის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (პროექტს ამზადებს სააგენტო).

15. სპორტი

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2013 წლიდან მიმდინარეობს „იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სპორტულ და სოციალურ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერის პროგრამა“ რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სპორტული სწავლებება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

2. 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მეკლდეურობის სწავლება ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი) მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (წლის ბოლომდე);

- ა(ა)იპ „მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ მიერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „ახალგაზრდული ინიციატივა განვითარებისა და ინტეგრაციისთვის“. პროექტის ფარგლებში ოკუპაციის შედეგად არსებული გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლების ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგ-სემინარები, მოეწყო მოკლე მეტრაჟიანი ფილმების ჩვენება და დისკუსიები, ახალგაზრდების მიერ სამშვიდობო თემატიკაზე, დაიწერა ნოველები და შეიქმნა ნახატები. პროექტის დასკვნითი ნაწილი გაიმართა 2015 წლის 12-13 თებერვალს ზუგდიდის არტ გალერეაში, სადაც წარმოდგენილი იყო პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების მიერ შექმნილი ნამუშევრები. ასევე გაიმართა პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, შესაბამის აღიარებული სპორტული ორგანიზაციის მიერ, 2018 ივნისის თვეში განხორციელდა მასობრივი სპორტული ღონისძიება საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარედ სოფელ ნიქოზში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 120- ზე მეტი ბავშვი სპორტის რამდენიმე სახეობასა და მხიარულ სტარტებში.

16. საერთაშორისო დონორები

1. UNHCR-მა ფულადი დახმარება (500 ლარი ბენეფიციარზე) გაუწია 1311 მოწყვლად (მრავალშვილიან, მარტოხელა და შშმ პირებს) ოჯახს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

2. ზემოაღნიშნულის გარდა UNHCR-მა ქარელის მუნიციპალიტეტში 700-ზე მეტ ოჯახს გადასცა ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფისათვის თითოეულ ოჯახზე 8-პლედი, 10კვ მეტრი საიზოლაციო პოლიეთილენის პარკი, 10მ კარ-ფანჯრების საიზოლაციო ლენტი.

3. თურქული ორგანიზაცია TIKA–მ (თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო) აღჭურვა სამედიცინო დანიშნულების ინვენტარით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი რენეს ამბულატორია.

4. მსოფლიო ბანკის მიერ აშენდა სოფლების მერეთის, ტირძნისის, ქვეშის, ბერშუეთის, ქვემო ჭალის, ლამისყანის, დირბის და დიცის ამბულატორიები, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს.

5. ევროკავშირის დახმარებით სოფელ ზემო სობისში რეაბილიტირებულ იქნა წყლით მომარაგების სისტემები.

6. ლატვიის საელჩომ სოფელ დიცში უზრუნველყო საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

7. ესტონეთის საელჩომ სოფელ ნიქოზში მოახდინა სკოლის რეაბილიტაცია.

8. ევროკავშირის დახმარებით სოფელ დვანში გარემონტდა საბავშვო ბაღი.

9. შვეიცარიის კონფედერაციის დახმარებით სოფელ ერგნეთში გადაიხურა დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავები და რამდენიმე საცხოვრებელ შენობას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაო.